ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 01/64
CPV. 22457000 - შესასვლელი/შესვლის ბარათი

ქ. თბილისი 23 აპრილი, 2012 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფროსის გიორგი გულუას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,თქვენი პარტნიორი" მისი დირექტორის მამუკა მაჭარაშვილის სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და მე-10[1] მუხლის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია **სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით** განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის საჭირო, შენობაში შესასვლელი სარეგისტრაციო პლასტიკური ჩიპიანი ბარათის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ადმინისტრაციულ შენობაში მომსახურე პერსონის შესვლის რეგისტრაციისთვის საჭირო **300** (სამასი) ცალი პლასტიკური ჩიპიანი ბარათის შესყიდვა, ერთეულის ღირებულება 3,8 ლარი.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1140 (ათასასორმოცი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, ამასთან მოწოდებულ ინვენტარზე ვრცელდება ერთწლიანი საგარანტიო ვადა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, მიმწოდებელი ორგანიზაციის მისამართზე. ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

4.3 საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი ზვიად საყვარელიძე.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05 %-ს.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 30 აპრილის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს ხარვეზის მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ,,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ ს.კ 205300048; მის.: ქ. თბილისი ფანჯიკიძის ქ.1ა უფროსი გიორგი გულუა ----------	შპს ,,თქვენი პარტნიორი” ს/კ 404383163, მისამართი:თბილისი,ჯავახიშვილის 100 კოდი: TBCBGE22 ა/ა GE08TB7473736020100001 დირექტორი მამუკა ბაჭაოაშვილი ----------